



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ–
ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის

ბრძანებით

N1/53, 22.07.2020 წ.

ცვლილება შესულია:

ბრძანებით

1/35, 20.06.2024წ.

სსიპ. ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“)
პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ – ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას;

1.2 პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასების მიხედვით წახალისების პროცედურებს;

1.3 წესი ვრცელდება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეფასება - პროფესიული განათლების მასწავლებლების გაწეული სამუშაოს შეფასება განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) შეფასების კრიტერიუმები - შეფასებისთვის განსაზღვრული საზომი, რომლის მიხედვითაც ხდება მასწავლებლების შეფასება.

გ) წახალისება - ინსტრუმენტი, რომელიც მოტივაციას უმაღლეს მასწავლებლებს იმუშაონ თვითგანვითარების, კოლეჯის და პროფესიული განათლების სასარგებლოდ.

დ) წახალისების ფორმები - წახალისების ფორმა შესაძლოა იყოს როგორც მატერიალური ისე არამატერიალური.

მუხლი 3. კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი:

3.1 თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება:

ა) პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა;

ბ) კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებში ვორქშოპებში /სემინარებში ჩართვა. **3.2** კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

ა) პროფესიული სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებელი;

ბ) პროფესიული სტუდენტების საუკეთესო შედეგების მიღწევის მტკიცებულება;

გ) სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება;

დ) პროფესიული სტუდენტების კოლეჯის აქტივობებში ჩართვის, გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება .

3.3. კოლეჯის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი.

ა) ინოვაციური იდეების დანერგვისა და რეკომენდაციების ხელშეწყობა;

ბ) კოლეჯებისთვის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;

გ) კოლეჯის სახელით პროფესიული წარმატების მიღწევა/დაჯილდოვება.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების ფორმებია)

მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდო;

გ) კოლეჯის სახელით მნიშვნელოვან პროფესიულ ჯილდოზე კანდიდატად წარდგენა.

მუხლი 5. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების წესი

5.1 პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასდებიან წინამდებარე წესის მესამე მუხლის შესაბამისად. (დანართი 1.)

5.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება მოხდება, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ წინამდებარე წესის მესამე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად. (დანართი 1.)

5.3 პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისება მოხდება წელიწადში ერთხელ შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების წესი

6.1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შედეგების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს წინადადებას პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წახალისების კონკრეტული ფორმის გამოყენების თაობაზე.

6.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) მადლობის გამოცხადება, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით./ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) ფულადი ჯილდო შეიძლება მიეცეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელს , საუკეთესო შედეგების შეფასებისას, როგორც წახალისების ფორმა და გამოყენებულ იქნეს

ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, /ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6.2. შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებული იყოს წახალისების ფორმებიდან ერთდროულად რამდენიმე ფორმა.